ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N178

გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ''ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **28 თებერვალი 2023 წ.**

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს #4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **მედეა ჯანიაშვილის** სახით და **შპს "ქართული ოჯახი"** (მის:თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ივ.მაჩაბელის ქ., №3, ბინა 9; საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ბ.კ.BAGAGE22 ა.ა.GE45BG0000000138855500 ს.კ.404502365), შემდგომში წოდებული''მიმწოდებლად'', წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარიამ ჯიბუტის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ''მხარეები'', ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სარესტორნო მომსახურება

(CPV 55321000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **4 000.00** (ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციო მაჩვენებელს, რომლიდანაც ანაზღაურდება მხოლოდ კონკრეტულად გაწეულ მომსახურებათა ღირებულება, შესაბამისად შემსყიდველი, წინამდებარე ხელშეკრულებით ვალდებული არ არის განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულების სრულად ათვისება.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.5. მომსახურების გაწევის ბოლო ვადა: **მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.**

3.6. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, რესტორანი „ბარბარესთან".

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს უფროსი ლევან ჯაფარიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი ეკატერინე ყოლბაია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საერთასორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი შოთა ბრელიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომასხურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს უფროსი ლევან ჯაფარიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი ეკატერინე ყოლბაია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საერთასორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი შოთა ბრელიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან, **მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველისათვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	**შპს "ქართული ოჯახი"**
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4	**მისამართი:** თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ივ.მაჩაბელის ქ., №3, ბინა 9
ტელეფონი: 2 436999	**ტელეფონი:**995 551 444884
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	**საბანკორეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი“ ბ.კ.BAGAGE22 ა.ა.GE45BG0000000138855500
ს/კ - 204578206	**ს.კ.404502365**

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **დირექტორი**

მედეა ჯანიაშვილი **მარიამ ჯიბუტი**

Mariam Jibuti

Digitally signed by Mariam Jibuti
Date: 2023.03.09

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სარესტორნო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2023 წლის 28 თებერვლის N178** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი — მედეა ჯანიაშვილი

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი — მარინა ბოჯგუა

Marina Bojgua 62001004239
Digitally signed by Marina Bojgua
Date: 2023.02.28 15:39:29